

შინაური საქმეები

№ 9.

კვირა, 28 თებერვალი, 1910 წ.

აღმსი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

ქოველკვირულ გაზეთი.

შინაური: ქუთაისი 21 თებერვალი. — ხელისა; ათეიზმი, მისი წარმოშობა, და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე — ფე სართანიძისა; უკანასკნელი ეტაფი ჩემი ცხოვრებისა. — შაკ. ახალი დრო (ლექსი) — ო. შწირისა; სიტყვები წარმოთქმულა 7 თებერ-

ვალს მელიტონ ჩოლოვაძის გასვენებაზე. — ლადო ნაცვლიშვილისა; და — რაჟდენ კანდელაკისა; ახალი შუამდგომლობა საქართველოს ეკლესიისა. — ...
საკვირველი შემთხვევა იასნაია პოლთრიაში. — ...
თლ-კახეთის მონასტრების შესახებ.

ქურნალი „შინაური საქმეები“ წლიურ ხელმომწერლებს დაურიგებს პრემიით შაფვის თხუზულლებას „ნისო ძრისტა“ საპვირველუბა ისტორიისა.

ქოველკვირულ გაზეთი
„შინაურ საქმეებს“
ხელის მწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო — კასაკაის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში.
წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ზ 50 კ.
გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

ქუთაისი 21 თებერვალი.

ახსანავ „ფონს“.

დღეს ფოჩტალიონმა „ფონის“ მერვე ნომერი შემოიტანა. გავკვირდი, რა მოელოანდა რედაქციას, რომ გამომიგზანათქო, ვსთქვი. ორჯერ სამჯერ მისაყვედურნია ამ გამოცემის წარმომადგენელთათვის, რათ გამოცემებს არ ვცვლით მეთქი. მაგრამ აგცილდეს შავი ეამი, ჩემი ღალადისი ასცილდა „ფონის“ რედაქციის ყურებს. მეც გული დავიმშვიდე. ... ამის შემდეგ უც-

რად.... რა თქმა უნდა გამიკვირდებოდა, მაგრამ ვიფიქრე. იქნებ რედაქციამ გული მოიბრუნა ჩვენზე თქო და დავმშვიდდი? დავიწყე გაზეთის ფურცლვა. წავიკითხე აქეთებური, იქითებური და მივაღიქე „ფონის“ რედაქციის ღმერთს, ბ. ბებელს. ორი სურათი ბიოგრაფიით რომელშიდაც ნათლად დახატულია (!) მთელი მოღვაწეობა ბებელისა. ააა.... ეხლა კი მივხვდი, რათ მომიფეშკაშეს ეს ერთად ერთი ნომერი! მოგეხსენებათ ჩვენ არა ვართ ბებელის თაყვანისმცემელი, წინააღმდეგ მთელ მის მოღვაწეობას ვუყურებთ, როგორც წყლის ნაყვას, როგორც ოცნებას, რომელსაც ნიადაგი არა აქვს საღ ადამიანის გულში. განსაკურთებით არა ვცნობთ ბებელს ღვთისმეტყველად და მის ბოდიას ამ მხარეში გომართელისებურ „იჭიბოქიას“ ვადარეთ, რასაც კიდევ ვამტკიცებთ თავის ადგილზე. ეს უთუოდ კარგათ მოეხსენება „ფონის“ რედაქციას და აი თავის გამოცემის მერვე ნომრით უნდა გაგვაკვიროს, გაგვაყერყეროს და ვითომ ჩვენი შეხედულებაც ბებელზე და მის მოღვაწეობაზე გაგვიმტყუნოს, გაგვიქარწყლოს. წავიკითხეთ გულდასმით ერთხელ, ორჯელ და სამჯელ „ფონის“ საიუბილეო სტატია ბებელის 70 წლის



ქვეყნად ცხოვრების შესახებ და რომ ბებელის ცნობა წინეთ არ გვექონოდა შენი მტერი, რომ ამსტატიდგან ვერასფერს გავიგებდით. ვიცოდით და „ფონშიდაც“ გაკვირით ამოვიკითხეთ, რომ ბებელი სოციალიზმის ერთი საუკეთესო მოციქულთაგანია, სოციალიზმისათვის იბრძვის იგი დღესაც, თუმცა თითონ ნამდვილად მესაკუთრე გახლავთ და მსხვილი მესაკუთრეც. ეს ამბავი დიდ სამსახურად მიაჩნია ფონს, ხოლო ჩვენ ვუწოდებთ მას ფუჟად დაკარგულ ძვირფას დროდ, რომელიც ბებელისთან ნიჭიერ კაცს სხვა უფრო სასარგებლო საქმეზე შეეძლო დაეხარჯა. დღეს მუშაობა იმაზე, რაც, შესაძლებელია, ათი საუკუნის შემდეგაც არ განხორციელდეს ფუჟეა, მეტი რომ არ ვთქვათ. რისთვისაც კაცობრიობა მზათ არ არის, მისი ქადაგება არა თუ მხოლოდ უსარგებლოა, არამედ პირდაპირი მავნებელიცაა, რასაც აშკარად გვიმტკიცებენ ის ათას გვარი გარყვნილებანი, მკვლევლობანი და სხვა მდაბიო მხეცური მოვლენანი, რომელნიც აღმოცენდნენ სწორეთ ამ სოციალიზმის ქადაგების ნიადაგზე. მეორე მხრით რა იციან ბ. ბ. ბებელებმა, რომ ხვალ რომელიმე ცთომილი არ დაეტაკება ჩვენ ბედშავ დედამიწას და მტვრად არ აქცევს ჩვენ დღევანდლამდე ნაწარმოებს. მაშინ ვიღას უანდერძებთ ბატონებო თქვენ ათასი წლის შემდეგ მოსალოდნელ სამოთხეს?! და თუ სოციალიზმი ხვალ ან ზეგ, წრეულს ან გაისათ განსახორციელებელი გგონი. თ. ნება გვიბოძეთ, ბოდის მოხდით უსუსურები გიწოდოთ. ჩვენ (და მგონი ყველასაც) მხოლოდ ის მუშაობა მიგვაჩნია ნაყოფიერად, რომელიც დღიურ ვარამს ეხება და ამდღებს აღამიანს ზნეობრივად. ამ მხრით, შეიძლება, ბებელმა ბევრი იმოდვაწევა, რისთვისაც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, ხოლო რაც შეეხება სოციალიზმს, ამისთვის მადლობა მათ გადაუხადონ და

ქება დიდება მათ შეასხან ბებელს, ვინც ამ სოციალიზმით ისარგებლებს, ვინც მისგან დამყარებელ სამოთხეში ცხოვრებას ეღირსება. ამასვე ვეტყვით ჩვენ შინაღმდელ სოციალიზმის მოციქულებსაც და გაზ „ფონსაც“ სოციალიზმამდი, თუ კი ოდესმე შესაძლებელია იგი, დიდი გზაა გასავლელი და სანამ კაცობრიობა ამ გზას გაივლიდეს, ვინ იცის, კუდიანი ვარსკვლავი რას იტყვის?

ამის შემდეგ მგონი წინასწარი და უაზრო უნდა იყოს ბებელის პროექტები კოლექტიურ (საზოგადო?) „სამზარეულოებზე“, სადაც ვისაც რა სურს მას მოითხოვს. ნეტა რამდენი ძროხა უნდა დაიკლას, ბ „ფონო“, თქვენ საერთო სამზარეულოში, რომ ყველას სუკის წვადები შეხვდეს! არტალის მჭამელი ხომ აღარავინ გვეყავს მას შემდეგ, რაც ლუარსაბ თავთქარიძე გადაგვეკვალა. კაია. თუ კაცი ხარ, კმარა ამდენი პატივის ცემა, კმარა ამოდენა თვალების ახვევა და მიუწოდებელ სიშორიდგან კაკა ბაბის ჩვენება, ასეთ პროექტებს მხოლოდ ოცნებაში აქვთ ადგილი და არა ნამდვილი კაცთა საზოგადოებაში. და ნუ თუ ამ უაზრო პროექტისთვის, ამ ოცნებისათვის უნდა დაუწიოქოთ და თაყვანი ვსცეთ მხოლოვან იუბილიარს? როგორ არ შეფერის ბებელის ქაღარას ასეთი უსუსური პროექტები! ... როგორ არ შეფერის გაზ. „ფონსაც“ საიუბილეო ფორმულიარში იუბილიარს ასეთ მოღვაწეობის შეტანა!

ერთი კიდევ დიდი სამსახური გაუწევია ბებელს კაცობრიობისათვის გაზ. „ფონის“ სიტყვით: დაუწერია შესანიშნავი წიგნი „დედაკაცი და სოციალიზმი“. ჩვენ არ ვამცირებთ ამ წიგნის ღირსებას ისტორიულ-არხეოლოგიური მხრით. ავტორს მშვენიერად აქვს დასურათებული ქალის მდგომარეობა და მისი უფლებები ეხლა და წასულში, მაგრამ ვერაფერ სანუგეშოს და ზნეო-

ბრძვის წარმოადგენს მომავლის დასურათ-
ხატებაში, სწორედ იქ სადაც ქალის
მდგომარეობის პროქტს ადგენს მომავალ
სოციალიზმის დროს. აქ იგი ვითომ
ათანასწორებს დედაკაცს მამა კაცთან,
ნამდვილად კი დედაკაცს თავისუფალ
დედლად ხდის, რომელსაც თავისუფლად
შეუძლია მეზობლის მამალს დაუკავში-
რდეს განურჩევლად თვისტომობისა,
დაძმობისა და დედაშვილობისა. ამ მიზ-
ნისთვის ამზადებს იგი დედაკაცს და
ამ მიზნით მოჰყავს თავის ქებულ წიგნში
არგუმენტებიც, და აქედგან აღვილი
წარმოსადგენია, რამდენათ მიუდგომელი
იქნება ეს არგუმენტები. თავისუფალი
სქესობრივი შეერთება—აი უკანასკნელი
დასკვნა ბებელისა, აი მისი იდეალი
კაცსა და ქალ შორის დამოკიდებუ-
ლებისა. კერძო ოჯახობის უარის ყოფა-
აი მიზანი, რომელსაც ემსახურება და
აკანონებს ბებელი. თქმა არ უნდა, ასეთ
მიმართულების წიგნს თანამედროვე ზნე-
დაცემულობის დროს დიდი გასავალი
ექნება და გვიკვირს, რათ 50 გამოცემა-
ზე მეტი არ „გასაღდა“. რასაც კაცი
თავის სვინდისსაც კი უმაღლავდა, ის
ბებელმა ზნეობრივ კანონად აღიარა
და, რა თქმა უნდა, ბევრ მუშტარს
იშოვნინდა.

აი ეს თავისუფალი ქალი და კაცი
გაზ. „ფონის“ სიტყვით, „ადმართვენ
სოციალიზმის სამეფოს“ და შემოუსხდებ-
იან, დავამატებთ ჩვენ კოლექტიურ
სამზარეულოდან მორთმეულ სუკისმწვა-
დებს „სააშიყოთ, სოლალობათ“ და შემ-
დეგ სამი საათის მსუბუქ მუშაობისა
განისვენებენ კოლექტიურ სარეცელზე.
მოდრი და ნუ გადაუხდის იუბილეს ისეთ
გვამს, რომელიც. გიმზადებს ასეთ სასუ-
ფეველს!... ..

შინ, შინ ბ. „ფონო“, დღიურ კირ-
ვარამზე გვითხარით რამე! განგვიმარტეთ
რათ ხდება დღეს ის, რაც არ უნდა
ხდებოდეს და რა უნდა ვიღონოთ, რომ

მოხდეს ის, რაც უნდა ხდებოდეს... შინ,
ვიმეორებ, თორემ ოცნებათა შორის
ბოთიალი ფეხქვეშ ნიადაგს გამოგვაკ-
ლის....

Handwritten signature or mark

**ათეიზმი, მისი წარმოშობა, და გავ-
ლენა მეცნიერებასა და ცხოვრ-
ებაზე**

ამგვარად ათეიზმს, რომელზედაც ხშირად
ეყრდნობა მატერიალისტური ატომიზმი, მხო-
ლოდ ვნება მოაქვს ქეშმარიტ მეცნიერების-
თვის და უღობავს მას გზას ზედმეტ დაბრკო-
ლებებით.

აქვს რა სახეში თავის დროის მატერია-
ლისტური მეცნიერება, პ. ბურჯე იძლევა კით-
ხვას: „რა სარგებლობა მოაქვს სულითვის
ასეთ მეცნიერებას. თუ არა პური სიმწარისა,
თუ არ სასმელი სასიკვდილო? ბევრნი, ძალიან
ბევრნი, იგემებს რა უღვთო მეცნიერება, რო-
მელმაც ვერ აუხსნა მათ ცხოვრების აზრი,
უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მივიდნენ.
მაგალითისთვის საკმარისია ავილოთ ოგიუსტ
კონტი, რომელიც—რათა დაჰსწოვოდა თვით-
მკვლევლობას—იძულებული შეიქმნა გამოეგო-
ნა თავისი „სარწმუნოება კაცობრიობისა“. ასე
უხეროდ ბოლოვდება ყოველი ცდა ათე-
იზმისა გახდეს მეცნიერების ხელმძღვანელად.

კული გავლენა აქვს ათეიზმს ადამიანის
ცხოვრებაზედაც. მანველი შედეგები ათე-
იზმისა აქ სჩანს უფრო საგრძნობელად, ვიდრე
მეცნიერების სამეფოში. ადამიანის ქეშმარიტი
ცხოვრება დაფუძნებულია ღვთის არსებობის
რწმენაზე და საზოგადოთ სარწმუნოებაზე. ასე-
თი ცხოვრება დამოკიდებულია თანშობილ ზნე-
ობითი კანონისგან. ან ყოველ კაცში თანდა-
ყოლილ შინაგან ხმიდან, რომელიც აგონებს
მას შეგნებულად და თავისუფლად მიივლტოდეს
კეთილისადმი და გაურბოდეს ბოროტებას ყოვ-
ლას მკოდნე მოსამართლენ—ღვთის სახელით,
რომელთანაც კაცი იჭერს მკიდრო კავშირს
სარწმუნოებაში. ზნეობითი კანონის ხელმძღვ-
ნელობით, რომელსაც პირდაპირი კავშირი

აქვს ღვთის რწმენასთან—სარწმუნოებასთან, სრულდება მოღვაწეობა სიყვარულისა და სი-
მართლისა, ადამიანის შინაგან და გარეგან
ღიად გამარჯვებათა,—საზოგადოთ, ყოველი
მალალი და წმიდა, რითაც კი დამშვენებულია
კაცობრიობის ისტორია.

მაშასადამე მიზანი ადამიანის ქეშმარიტ
მოქმედებისა იმაშია, რომ შეასრულოს სავალ-
დებულო ხმა ზნეობითი კანონისა, ე. ი. „ი-
ხოვროს ღვთის ნებაზე“. ეხლა ცხადია, რაში
უნდა გამოიხატოს ათეიზმის გავლენა ცხოვრე-
ბაზე; ათეიზმი უმთავრესად სთელავს ღვთის
არსებობაზე დამყარებულ ზნეობით კანონს,
რომლის ხელმძღვანელობით უნდა მიმდინარე-
ობდეს ქეშმარიტი ცხოვრება ადამიანისა.
თუმცე შინაგანი გარჩევა კეთილისა და ბორო-
ტისა აღმოუფხვრელია ადამიანის ბუნებიდან,
მაგრამ ასეთი გარჩევა თავის თავად, როგორც
გვაჩვენებს გამოცდილება, ყოველ კაცისთვის
და ყოველთვის არ არის საკმაოდ ცხადი და
გარკვეული, რომ გაუწიოს ხელმძღვანელობა
ცხოვრებაში. გარდა ამისა, მარტო გარჩევა კე-
თილისა და ბოროტისა არ არის საკმარისი,
რომ კაცს მივიღტოდეს პირველისკენ და განე-
შორებოდეს მეორეს. კაცს აქვს დაბალი ლტო-
ლილებანი-ზნეობრივ გრძნობის წინააღმდეგი,
რომელიც ენერგიულად მოითხოვს კაცისგან
დაკმაყოფილებას. რომელს მისდიოს კაცმა?
დაემყაროს ჭკუას, კანონებს, საზოგადო ზრდი-
ლობას შეუძლებელია. კაცი ყველა ამეებს
ადვილად გადაუხვევს და დაარღვევს კოდეც,
როგორც შინაგან, ისე გარეგნულად, თუ კი
ამას მოინდომებს. თვით საზოგადო კანონები
და ზრდილობა ემყარება ზნეობაზე და არა ზნე-
ობა მათზე. და თუ ხანდისხან ათეისტებ შორ-
სებდავთ ზნეობრივ ადამიანებს—მათი მალალი
თვისება არ შეადგენს მათი თვით-მოქმედების
ნაყოფს, არამედ მხოლოდ ბუნების მდიდარი
ნიჭია, ან აღზრდის და გარემოების შედეგია,
რომელითაც ისინი სარგებლობენ, სანამ რამე
ძლიერი დაბრკოლება არ შეჭვდებათ. თუ შეე-
მთხვათ რამე დაბრკოლება,—ათეისტები ვერ
შესძლებენ მასთან ბრძოლას.

ამისთვის სარწმუნოება, რომელიც უხს-
ნის კაცს ზნეობის მოთხოვნილებებს

აღძრავს მას დააკმაყოფილოს სწორედ ეს მოთ-
ხოვნილებანი და არა წინააღმდეგი ხასიათის
გრძნობანი,—მარტო ბუნებრივი ზნეობის
გრძნობას არ შეუძლიან უსარწმუნოებოდ იქა-
ნიოს აქტიური გავლენა ცხოვრებაზე, არ შე-
უძლიან გახდეს მის ხელმძღვანელად. ამას,
როგორც სჩანს, აღიარებენ ათეისტებიც, რო-
დესაც ამბობენ: „პასუხის მგებლობა, მითვალ-
ვა, რომლებსაც მორალი, სისხლის სამართალი
და, ღმერთმა იცის კიდევ ვინ, გვაკისრებენ,
არ არსებობს.“¹⁾

მაშ რას იძლევა ათეიზმი ზნეობის კანო-
ნის ნაცვლად ცხოვრების საჭირო ხელმძღვანე-
ლად? რას უნდა ესწრაფებოდეს კაცი?—„ადა-
მიანის ბუნებაშია საზომი მის მოქმედებისა და
არა აბსოლუტურ ღმერთში. კარგია ის, რაც
შეეფერება ადამიანის მოთხოვნილებას და
„ყველაფერი“ ადამიანშია, „ყველაფერი“ მის-
თვისაა.“²⁾—ამბობენ ათეისტები. ასეთ ეგოიზმ-
თან ცხოვრების უმთავრეს კანონად ხდება სია-
მოვნება, როგორც შედეგი მხოლოდ ერთად
ერთ ხორციელ ბუნების მოთხოვნილებათა და-
კმაყოფილებისა, რომელიც მხოლოდ სწამს
ათეიზმს კაცში³⁾. მაგრამ სიამოვნება, რომელ-
საც ქადაგებს ათეიზმი, მიუხედავთ თავის ზნე-
ობრივი უსაფუძვლობისა, შეუძლებელია იყოს
ცხოვრების გარკვევულ და საიმედო საფუძ-
ველად, რადგანაც გრძნობითი ბუნების
მოთხოვნილება ძალიან ხშირად დამოკი-
დებულია კაცისგან დამოუკიდებელ გარე-
მოებისგან. დღეს კაცს სიამოვნებას აგრძნო-
ბინებს ერთი რამ, ხვალ სხვა. რაზედ უნდა
გავჩერდეთ? აქედგან გამოდის, რომ ათეისტმა
ყოველთვის უნდა იცხოვროს და იმოქმედოს
წამას შთაბეჭდილების ქვეშ სრულებით და-
მოკიდებულად გარშემორტყმულ ქვეყნისგან.
ათეისტი სცურავს ყოველგვარ გარემოებისკენ,
ხდება სრულიად უხასიათო არსებად და ჰკარ-

¹⁾Форь Карт. изъ жизни животныхъ. 445, матер. для разоблач. матер. нигил., 42.

²⁾Фейербах.—матер. для разоблач. матер. нигил. 120; „на днѣ“, Максима Горькаго (слова Сатина)

³⁾Жрст. Чт., 80 г. ст. Сквориова,—Нравствъ и житейск. идеалы соврем. матеріализма“.

გავს იმ თავისუფლებას, რომელზედაც თითქოს თავდაპირველად ოცნებობდა, როცა უარყოფდა ღმერთს და ზნეობით კანონს. სიამოვნების პრინციპი კიდევ, ათეიზმის თვალსაზრისით, გადადის პირად სარგებლობის პრინციპზე, როცა ადამიანი, სტოვეზს რა თავის ჩაკეტილ ცხოვრების წრეს, შედის სხვა ადამიანებთან დამოკიდულებაში. მაგრამ აშკარაა, სარგებლობის პრინციპი, ისე როგორც სიამოვნების პრინციპი, არ შეიძლება გახდეს საზოგადო და მყარ საზომად ადამიანთა ურთიერთთან დამოკიდებულებისა. თვითუღს თავის ტემპერამენტის და ცხოვრების პირობების მიხედვით სასარგებლოდ მიიჩნია ის, რაც შეიძლება სხვას სრულიად არ მოსწონდეს. ამას შეაქვს ისევ სრული თვითნებობა საზოგადო ცხოვრებაში; და აი უნდა დაიწყოს ველური ბრძოლა ყველასი ყველას წინააღმდეგ¹⁾. ერთს, მაგალითად, სურს მოიხვეჭოს ნივთიერი სიმდიდრე უკანონო გზით, მეორეს უნდა კარიერა, და, სარგებლობს რა თავის მდგომარეობით, ამხელს მტაცებელს მაშინ, როცა მესამე, ისიც პირადი ანგარიშით, ცდილობს მის დაფარვას. ამგვარადაც ყველას, ათეიზმის თვალსაზრისით, აქვს უფლება, როგორც ჰსურს ეძებოს თავის პირადი სარგებლობა, თავის შეზღუდვა არ არსებობს. „ვისი უნდა ეწინოდეს კაცს?“ ამბობს სატინი (на дне М. Горького). მაგრამ თვით ათეისტები რადენიმედ მაინც გრძნობენ პირად სარგებლობის პრინციპის უვარგისობას ცხოვრებაში, რის გამოც ზღუდავენ მას საზოგადო ბედნიერების სახელით, რომელსაც, მათი აზრით, თვითუღსმა უნდა შეუთანხმოს თავის მოქმედება. მაგრამ საზოგადო სიკეთეზე გამოურკვეველ წარმოდგენასაც არ შეუძლიან ააშოროს შეტაკება კერძო ინტერესებისა ერთმანეთთან და მართლაც რის გულისთვის ესა თუ ის პიროვნება შესწირავს თავის ინტერესებს საზოგადო სიკეთეს, როდესაც ამ წიშში მისი გარემოებები უიმისოდაც კარგად მოეწყოს, რაც შეადგენს კიდევაც ცხოვრების

მიზანს ყოველი ათეისტისთვის! ათეისტებმა, რომ შეაყენონ ბუნებრივი შედეგი მათ მიერ ნაჩვენებ ცხოვრების წესისა, დაიცვან თავიანთ წრეში პატივისცემა საერთო სიკეთისადმი, უნდა მიმართონ ძალის, შეაფრთხონ თავისუფლება პიროვნებისა და როდესაც ძალა ხდება კანონიერ უფლების საძირკველად, და ამით ბუნებრივად მალა დგება უფლებაზე, აქედან ერთი ნაბიჯიღა თვითნებობითი ძალადობამდე. ეს კი ისევ იწვევს არსებობისთვის გამწვავებულ ტრადიკულ ბრძოლას. უფლება ძალადობისა, შეკავშირებული პიროვნების სარგებლობასაღ. . . . სიამოვნებასთან, წარმოშობს საშინელ ავაზაკობას, რომლის წინააღმდეგ ვერ მონახავთ სასამართლოს, ვერ იპოვით სამართალსა. ცხადია საყოველთაო ბრძოლაში და ინტერესების განცალკევებაში შეუძლებელია წინსვლა. ასეთია გავლენა ათეიზმისა კერძო და საზოგადო ცხოვრებისა. ათეიზმის ასეთ დამღუბველ გავლენის მაგალითს წარმოადგენს ბერძენთა და რომაელთა ისტორია, ქრისტეს დაბადების წინ. იმ დროის ისტორიკოსთა და ფილოსოფოსების სიტყვით, რომი, ეს შუაგული მაშინდელ ქვეყნისა, რომელმაც დაკარგა რა რწმენა მითიურ ღმერთებისა, გადმერთა თვისი ხელმწიფეები, და ვერ იპოვა ვერაფერში ზნეობრივი საძირკველი, „გახდა მდინარედ არა ადამიანურ—მხეტურ სამარცხვინო მოქმედებათა“. თითქმის ასეთსავე სურათს წარმოადგენს წარსულ საუკუნის დროის და რამოდენამდე აწინდელი საფრანგეთის ისტორიაც. თავის სამშობლოზე საფრანგეთის მწერალი ემილ ზოლა ტყუილად კი არ ჰგონებს, რომ ერთ უბედურ საღამოს გამხვეციბული ხალხი მოედება არე-მარეს და მდიდართა სისხლით შეღებავს, და თრევას დაუწყებს მათ თავებს, გაფანტავს მათ ოქროებს დამსხვრეულ სკივრებიდგან.

ასეთი სამწუხარო მოქმედება ათეიზმისა ცხოვრებაში აუტანელია საზოგადოების წევრთათვის. იგი არა თუ არ აძლევს პრაქტიკული მხრივ არაფერ მკვიდრს თავის მიძღვერებს, არამედ უკარგავს ამ უკანასკნელთ შინაგან სიმშვიდეს და მოსვენებას. რადგანაც სარწმუნოებრივი იდეა შეადგენს აუცილებელ კუთვნილებას

¹⁾ Бюхнеръ Мат. для разоблач. матер. нигил р. 119.

ადამიანის შინაგანი არსებობას, ამიტომ თვით ათეისტებიც თვის შორის, თუმცა ანგარიშ მიუცემლად, მაინც გრძნობენ ამას. მათ ესაქიროებათ საგანგებო სიმტკიცე ნებისა, რომ რაც შეიძლება იშვიათად გამოაჩინონ ეს იდეა თავიანთ შეგნებასა და ცხოვრებაში. მაგრამ ასეთი მრჩობლობა აიძულებს ათეისტებს მათი სულის ძალდატანებას და მუდმივ სიცრუეებს თავის წინ. „მთელ ჩემს სიცოცხლეში მე ღმერთი მტანჯავდა, მხოლოდ ერთი ეს სიტყვა არ მასვენებდა!“ ვაოცებით ამბობს დიმიტრი კარამაზოვი, როცა არ იცოდა, როგორ დახწვოდა ღმერთზე ფიქრს. მოხდება ხოლმე ათეისტები, რა გამოსცლიან ყოველ-ნაირ სიამოვნებას, იგრძნობენ ხოლმე ზნეობრივ მოქანცვას. მაგრამ სად ეძებონ მოქანცულ სულის გამაგრება? მხოლოდ ერთ სარწმუნოებას შეეძლო მიეცა მათთვის სიგამაგრება და ნუგეში, ისინი კი სარწმუნოებას უარ-ყოფენ. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც სარწმუნოების იდეა დაუბრკოლებრივ მიილტვის დაეხწიოს ძალადობის უღელს და ამისთვის ათეისტებს ხანდისხან ისეთ ტანჯვას აყენებს, რომ „არ იციან როგორ მოიქცნენ“¹⁾. ხანდისხან საკმარისია ერთი გარემოება (მაგ., რამე უბედურება, სიკვდილის მოახლოვება და სხვ.), რომ ათეისტი გახდეს ღრმა მორწმუნედ. (ანდაზა: „თუ ქუხილი არ გაეგონა, გლეხი პირჯვარს არ გადიწერავს“). ასეთი გარემოებანი კი ძლიერ ბევრია ცხოვრებაში. ათეისტს ყოველ ნაბიჯზე უნდა ეშინოდეს თავის ურწმუნოებისა. ერთი ქალი, როდესაც აღგებოდა ურწმუნოების გზას, ისე აგვიწერს თავის აუტანელ შინაგან მდგომარეობას: „რწმენა დავკარგე, მე ვეძებდი და ველვტოდი მხოლოდ შეხებით მქისე მატერიალისტურ დამტკიცებებს, სასწაული მე ჩაესთვალე ზღაპრად, რომლითაც შეიძლება მხოლოდ ბავშვის კჟუა მოატყუონ; ლოცვას გადავეჩვიე, რადგან აღარ ვგრძნობდი ღმერთთან ჩემი სულის სიახლოვეს. გულის დარღმა, აუტანელმა ტანჯვამ დაჰბადა ჩემში ბოლოს რწმენის სურვილი. საზოგადოთ ჩემი რწმენა შეირყა, გრძობა

ბანი დამიმახინჯდნენ; ყველაზე უარესი კიდევ ის იყო, რომ ყველა ამეებს ვგრძნობდი... ამასზე უმძიმესი ზნეობრივი ტანჯვა მე არ მგონია თულა იქნება რამე“¹⁾. ასე ანგრევს ათეიზმი თავის მიმდევართა სულიერ ცხოვრებას.

თუ ათეიზმს, როგორც ზავნებელ ცთომას, არ შეუძლიან უარყოს ჩვენი რეალური და კანონიერი ლტოლვილება სარწმუნოებისადმი, მაშინ მასთან გვმართებს სასტიკი ბრძოლა, როგორც კერძო, ისე საზოგადო ცხოვრებაში. დეე, სარწმუნოების დამცველებმა, ქეშმარიტ მეცნიერების მიმდევრებმა და ყოველმა გონენებით საღმა ადამიანმა მიიღონ ეს შრომა და თავიანთ ცხოვრებით, თავიანთ ცოდნით, თავიანთ სიტყვით გადუშალონ და დაუმტკიცონ სარწმუნოებაშერყეულთ და ღვთის ურწმუნოებს ღმერთის ქეშმარიტი არსებობა და ამ ქეშმარიტებაზე დამკვიდრებული სარწმუნოება. ჩვენს შორის სცხოვრობს არა ერთი და ორი ისეთი, რომელთაც გაიარეს რყევის ხანა, იხსნეს თავიანთ რწმენა დაღუპვისაგან და მტკიცედ იცავენ მას. რყევა სარწმუნოებაში ხშირად აშფოთებს კარგ და კეთილ პირებს და იტაცებს მათ ცრუ გზისკენ. მაგრამ ასეთი ადამიანები ხშირად სრულად არ არიან დაკარგულნი სარწმუნოებისთვის, რადგანაც ზვიც ქეშმარიტებისკენ მიილტვის, მისი დახსნა შესაძლებელია“ ამბობს ანგელოზთა გუნდი პოეტისა. და აი განვამტკიცოთ ასეთი ადამიანები, გაფუღვიოთ ნაპერწკალი ღვთისადმი რწმენისა—ეს ჩვენი საზოგადო ღღეფანდელი მიზანია. (მათ. XXVII, 19 20). თვით გრაფი ლ. ნ. ტოლსტოიც კი ამბობს: „უსარწმუნოებოდ კაცს არ შეუძლიან იცხოვროს გონიერულ ცხოვრებით“²⁾, და ურჩევს ყოველ კაცს „იქონიოს თავისთვის სარწმუნოებრივი დამოკიდულება ცხოვრებაში და ამ საძირკვლიდგან ახსნას ყოველი მოვლენა. ამის საქიროება, ამბობს ის, უფრო საგრძნობელია ისეთ ღროს, როგორიც არის ჩვენი ღრო“ (წერ. თავის შვილ-

¹⁾ ამის მაგალითი-მოთხრობაში „Быль“. Стран-
ничья, 82 г.

²⁾ Изъ письма къ М. П. Погодину. Простая рѣчь о мудренныя вѣщахъ, III, p. 195.

თან ლ. ლ. ტოლსტოის). სარწმუნოების საქი-
როების დასკვნამდის ხალხი მიჰყავდა ცხოვ-
რების მწარე გამოცდილებას. უნდა თუ არა
ჩვენ სამშობლოსაც გაიმეოროს ეს დამაღონე-
ბელი გამოცდილება?

ეფ. სარჯანიძე.

(და'ასრული).

უკანასკნელი ეტაპი ჩემი ცხოვრებისა.

ლ. ნ. ტოლსტოის ახალი წერილი.

გაზ. „Нов. Врем.“ მოთავსებულია გრ.
ლ. ნ. ტოლსტოის საზღვარგარეთ გამოსული
წერილის თარგმანი ამ სათაურით: „უკანასკნე-
ლი ეტაპი ჩემი ცხოვრებისა“.

„მე გარკვეულად ვგრძნობ ჩემში, ამბობს
ლ. ნ-მე—ინტერესის თანდითან დასუსტებას
არა თუ მხოლოდ ჩემი საკუთარი პიროვნე-
ბისადმი, ჩემი მწუხარებისა და სიხარულისადმი
(ყველა ეს, საბედნიეროდ, უკვე შორს და დი-
დიხნის დამარხულია)., არამედ ჩემი მშობელი
ხალხის ბედნიერებისადმი, მთელი კაცობრიო-
ბის ბედნიერებისადმი. მე უკვე აღარ შემიძ-
ლია აღრინდელი გულმოდგინეობით მივეცე
საზოგადო სიკეთის დაცვას, ვიქადაგო საქიროე-
ბაზე განათლებისა, სიფხიზლისა, საკუთრების
უარისყოფისა და სხ... მე გგონია, რომ მე
ვიწყებ განურჩევლად ყურებას თითქმის საზო-
გადო სიკეთისადმი და იმ საკითხისადმი გან-
ხორციელებდა თუ არა სასურველი ღვთისა აქ,
ჩვენ შორის.

დავრწმუნდი თუ არა ჩემი სულის მდგო-
მარების ასეთ ცვლილებაში, მე ვიწყე ფიქრი
მის მიზეზებზე და მივედი შემდეგ დასკვნამდის:
თითოეული კაცი სიცოცხლეში განიცდის ზნე-
ობრივ განვითარების ს.მ ხანას, და მე ვატყობ,
რომ მესამე ხანაში ვარ.

პირველი ხანის განმავლობაში კაცი მხო-
ლოდ თავისთვის ცხოვრობს, თავის ვნებათა
და მიღრეკილებათა დასაკმაყოფილებლად. იგი
იმზე ფიქრობს, თუ რა შესვას, რა შექამოს,
როგორ გაერთოს, როგორ მიხეწოს პატივსა
და დიდებას. მისი სიცოცხლე მრავალფეროვან-
ია და საყვ. ასეთი იყო ჩემი ცხოვრებაც

30 წლამდის, პირველ ქალაქამდის. სხვების-
თვის ეს ხანა შეიძლება უფრო მოკლეც იქნეს.

გავიარე თუ არა ეს პირველი ხანა, მე
დავიწყე ოცნება სხვების ბედნიერებაზე, ყვე-
ლა აღამიანების, მთელი კაცობრიობის ბედ-
ნიერებაზე. ეს მეორე ხანა იღნიშნულ იქმნა
დაულაღავი მოღვაწეობით სახალხო სკოლების
შექმნის ნიადაგზე. მართალია, ეს მიღრეკილე-
ბა აღრეც მქონია, ჩემ ეგოისტურ სიცოცხლის
ხანაში. ეს ინტერესი ჩაქრა ჩემი დაქორწინე-
ბის პირველ წლებში და ისევ მალე აღდგა,
როცა ამოვება ქვეყნიერი ცხოვრებისა ხელ-ახ-
ლა წარმომიდგა მე მთელი თავის შემადრწუ-
ნებელ არარაობით. ჩემი რელიგიური (სარწ-
მუნოებრივი) გრძნობა მიიქცია სიკეთის, ბედ-
ნიერების და იმ გზების ძიებამ, რომლებსაც
მოსდევს ღვთის სასუფეველის დამყარება ქვეყა-
ნაზე. ეს ლტოლვილება ღვთისადმი იმდენად-
ვე ძლიერი იყო და იმდენადვე მივსებდა სი-
ცოცხლეს, რამდენადაც წინანდელი მისწრაფება
ხელმძღვანელობდა ჩემი ცხოვრების ეგოის-
ტურ ხანაში.

მე ვგრძნობ ეხლა, რომ იგი სუსტდება
ჩემში, იგი უკვე არ მიპყრობს, არ მიტაცებს
და მე მოვინდომე ანგარიში მიმეცა ჩემი თა-
ვისთვის — რამდენად კეთილი და დიდსულოვან-
ია მოღვაწეობა, რომელსაც მიზნადა აქვს
დაეხმაროს კაცს მის ბრძოლაში ურწმუნოები-
სა, კრუმორწმუნოების და ამაოდ მორწმუ-
ნოების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გამოვერკვი თუ არა ახალ სულიერ მდგო-
მარებაში, მე ვპოვე, რომ იგი დამყარებუ-
ლია ახალ საფუძველზე, რომელმაც უნდა შეე-
ვალოს წინანდელი, რადგანაც ეს საფუძველი
გამომდინარებს კაცობრიობის სიკეთის მისწრა-
ფებიდან, რომელშიდაც ეხლა იგულისხმება
ჩემი პირადი ბედნიერებაც. ეს მდგომარეობა
არ არის განუწყვეტელი ლტოლვილება ზნე-
ობრივ გაუნჯობისობისადმი, არა, ეს რაღაც
სულ სხვა არის — ეს ახალი ცხოვრების წყაროა,
რომელიც თხოულობს ღვთისგან რწმუნებულ
სიკეთის სრულ ხელშეუხლებლობის დაცვას.
იგი თხოულობს ჩვენგან ახალ ცხოვრებას, ამ
სიკეთის დაცვის პირობით მთელი თავის სიწ-

მიღით და მომზადებას სხვა, უფრო უკეთეს, ცხოვრებისადმი, რომელში გადასასვლელად ჩვენ მულამ მზათ უნდა ვიყოთ. შე ვგრძნობ, რომ ეს მისწრაფება უფრო და უფრო მიპყრობს მე, რომ იგი აიწროვებს ყველა სხვა მისწრაფებებს და აძლევს ჩემ ცხოვრებას ისეთსავე სხვა და-სხვაობას და სისრულეს, რომლებითაც განირჩეოდნენ წინანდელი ხანები ჩემი არსებობისა. მე, შეიძლება, საკმაოდ ცხადათ ვერ გამოვსთქვი (რისაც თქმა მინდოდა), მაგრამ მე ამას გარკვეულად ვგრძნობ. როცა მე დავკარგე ყოველი ინტერესი ჩემი პირადი ცხოვრებისა, და რელიგიური ინტერესი, სხვანაირად, ინტერესი საზოგადო სიკეთისა, ჯერ კიდევ არ გადავივებულიყო ჩემში, მე ავშფოთადი, მაგრამ დავმშვიდდი, როცა უკანასკნელმა გრძობამ გაიმარჯვა. მაშინ იმაში მე ვიპოვე ისეთივე თვითკმაყოფილება და პირადი ბედნიერება.

იმავე მოვლენას აქვს ადგილი ეხლაც, როცა ჩემში განახლებული ძალით აღიძვრის ხოლმე ძლიერი სურვილი კაცობრიობის გააღწევისა და ხშირად რაღაც შიში შემოიპყრობს ხოლმე, თითქოს ჩემწინ იშლება ვეებერთელა უღაბხო. მაგრამ ეს ჩემი სულის მდგომარეობა უკვე ადგილს უთმობს ჩემს მისწრაფებას ახალი ცხოვრებისადმი—მაცადინებობას მისთვის მოსამზადებლად. უკანასკნელი გამოძინარეობს პირველიდგან, და მათში მხოლოდ ვპოვებ როგორც პირად დაკმაყოფილებას, ისე თვითდაკმაყოფილებას, როგორც წევრი (კაცობრიობის ოჯახობისა) კაცთა ნათესავისა.

ახალი ცხოვრებისთვის მზადებასთან ერთათ მე ვახწევ ჩემი ძველი გულითადი ოცნების—კაცობრიობის ბედნიერების—განხორციელებას მასთან მეტი დარწმუნებით, ვიდრე მაშინ, როცა მე ვისახავდი მას თავის ერთადერთ მიზნად. ღმერთთან ერთობის ძებნაში და საღვთო დასაწყისის მიმღეობის მაცადინებობაში მე უფრო სარწმუნოთ ვახწევ საზოგადო სიკეთეს და საკუთარ მის (ჩემ?) ბედნიერებას. და არსებაში შოდის ესე ყოველი აუჩქარებლად, დაუდალავად, დაშვიდებულ მხიარულ (სულის) განწყობილებაში. მწყალობდეს მცო ღმერთი*!

Зак. № 38—1910 წ.

ახალ-ღრღის.

აზვირთებულ სიხარულის გრძნობებით ძღვევის ჩანგზე აღტაცებით მღერიან, სოფლად სუფრას ამზადებენ და შლიან, სამოთხისა აყვავებას ელიან.

ყველა ერთად შესდგომია ხარებას მომავალი ნეტარების ღღეების, მაგრამ, ვაი, ვერსად ვხედვ, საღარი მუშაკი და მქნელი ბედნიერების?!

გადახედეთ ცხოვრებისა მიდამოს ღვარძლი ლაღად არ ჰყვავის, არ ჰმოსია? მაშ მითხარით ეკლით მოსილ ალაგას ტკბილად ვარდი ვის და სად უყნოსია?!

მწყემს წართმეულ გზა-დაბნეულ ცოთ მიღ ბრბო წინ მიიწევს ყვირილით და ლაღადიო: „გამოუშვით, დაგვიბრუნეთ ბარაბა! მაცხოვარი აღარ გვინდა, ჯვარსაკვით!“

რისი სული, რისი ღმერთი, ვისი ცა, იძახიან, სამოთხე აქ არისო, ეცადე, რომ არ დაკარგო წამები და მტკელი მარად მაგრად აივსო.

ეს მაღალი გონიერი არსება ნების ქიას თავის თავსა ადარებს და ის აზრი რომ მოკვდება-გაქრება უხარია, იცინის და ხარხარებს.

უბედურნო! მაშ რათ აწყობთ სამოთხეს ღვდამიწის დროებითსა საზღვარში, განა აწყობო ნეტარებას გემო აქვს მომავალის საცივ და ბნელ საფლავში?!

დაუვალად მომავალის მწყურვალე, კაცი თუ კი მხოლოდ ქია-მატლია და დასასრულს ქია-ლუის საქმელად აქ უაზროდ დატანჯული აგლია,

მაშინ რაა მისი ქვეყნად ბადება და ვინ არის კაცი მისი მშობელი, თუ არ მისი სასაცილოდ აგდება და ჯალათი უზნეო და ულმობელი?

ისტორიაც გვემოწმება, რომ ყველა და მორგუნველი სულის უკვდავ ძალების, მოტრფიალე მხოლოდ ხორცის ნდომითა და მსახური წარმავალის წამების,

სასო მიხილ, უიმედო, დასასრულს, მშვიერ თვლით შესცქეროდა ცხოვრებას და ხედავდა კვლავ მწყურვალე თვალის წინ სულის მტანჯველს ყოვლის ამოცხებას...

უკვდავება!. საუნჯეა წასულის და აწყყობის განმაცხოველებია, ცისკროვანი მომავლისა წყაროა, დაულალავ აღმადრენის ფრთებია!

უმიხოდ ყველაფერი ბნელია, დამტანჯველი გრძნობისა და გონების. უკვდავება სულის საყუდელია, უკვდავება ღერძი არის ცხოვრების.

ონოფრე მწირი

სტუმარი წარმოთქმულნი 7 უზებერვალს მელიტონ ჩოგოვაძის ბასვენებაზე. (ოპირის მუხაზე).

ბედისგან მწარედ დასჯილო, მელტონ!

შენმა უდროოდ დაკარგვამ მეტად შეაწყუხა არა მარტო შენი ნათესავეები, მასწავლებელ-მოწაფენი და მეგობარ ნაცნობნი, არამედ ისინიც, რომლებიც არ გიცნობდნენ და ესლა სიკვდილის შემდეგ, გაიგნენ შენი სახელი... უკვდა ცხარე ცრემლებს გაურის... რით დაიმსახურე შენ ასეთი თანაკრძობა? შენ იუა-ვი უბრალო გლეხის შვიდი, გლეხობაში გაზრდი-ლი, და მშრომელთა ცხოვრების ბავშობიდანვე შე-ჩვეული, ამიტომ სწავლის და მთავრების შემდეგ გახდა მისი ერთგული მოსამსახურე. შენ აიჩიე სამოღვაწეოდ კვლავინ გზა, სამასწავლებლო ასწარე-სი, რომელსედაც აკერ 15 წელიწადია გულმოდ-

გინეთ და ერთგულად ჭანხს ეწეოდი. შენ არ იცო-დი დაღაცა, გიუყარდა შრომა, შრომა ზატიოსანი და ნამდვილი. გაჭირვებაში გამოწრთხილს, არ გაშო-ნებდა ცხოვრების ბასრი კლანჭები და გერავითარი უბედურება. აი სწორეთ, შენისთანა ადამიანსედა არის სუდგამოჭრილი ჩვენს სუფარული ზოქტის აკაკის სიტყვება:

„ჭკვით სრულსა და გრძნობით აღვისიდ კაცს ვერ შეაშინებს უბედურება; როდესაც უფრო ხელი ეშლება, ის უფრო კერზად ემსახურება მისგან არჩეულს ცხოვრების მოხანს და სიცოცხელსთან შეკავშირებულს მამინ გასწევტს ის, როცა ვუბოში

ჩაიხელება ციფსა და უგრძობიუს გულსა“. მიუხედავად იმისა, რომ შენ ავადმეურა განათლებას გქონდა მიდებული, შენ არ იუავი ზოგაერთებოვით შედიდური, შევირადა და თავის გამოჩენის მსურ-ველი, არამედ იუავი უბრალო კაცი და რასაც აკე-თებდი, აკეთებდი წუნარად, ჩუმად. შენი მოსწავლე-ები შენში ხედავდნენ ზატიოსან მუშას და გულკე-თილ მასწავლებელს, ამხანაგები კი შუეით კაცს და ნამდვილ ადამიანს. შენ არ გაკვირვებდა მადალი და თბილი ადგილი და არც დაგვიწყებია ქალამნი ზოგაერთებოვით. იუავი გაჭირვებულთა შეკობარი და მათი ინტერესების დამცველი. ამასთანავე გი-უყარდა შენი სამშობლო და შენი სოფლის დარიბი ხალხი, რომელსაც შენ დიდ დახმარებას უწევდი. როგორც ტანჯვა წვალებით გამოზრდილი, ხალხისა და მამულისათვის თავდადებული, შენ ემზავსებოდი იმ საკვირველ გლეხს, რომელიც ამ ორასი წლის წინათ დაბადა არხანგელის გუბერნიის ერთ მიჯარ-დნილ სოფელში. ბევრს მოელოდა შენგან შენი სამ-შობლო და შენი ხალხი, თუ კი დაგცლოდა მკერამ მრისხანე ბედა არ შეგიცოდა,

უწეალოდ დატკრა ბასრი ბრტყალები; მან აისრულა გულის წადილი დაგახუჭია ძაღვ თვალები.

ჭირში გამოზრდილს გაუყარდა შრომა, ჭირში შეოთათვის გტეოდა გული; არ ისვენებდი, თავს არ ზოგაედი, იუავი გულადი, მხნე და ერთგული.

შენ არ ფიქრობდი, ასე უცნაოდ,
 თუ გიმტყუნიდა წვეული ბუდი;
 უძლავდებოდი, ებრძოდა შედგნად,
 არ მოგისრია არც ერთხელ ქედი.

მაგრამ ცხორებაში მოუსვენარმა
 მაინც დაგძლია, აღარ გიწამა,
 შორს გადგისროლას; ბრძოლით დაღლილსა
 საგანე მოგცა შავმა შიწამა.

აწ განისვენე ცივს, ბნელს საფლავში,
 სადაც ვერ განახვს მზასა სხივები;
 არ შეგაწუხებს სევდა დაწვეული
 არ შეგაწუხებს შავა ფიქრები.

შენ მოკვდი, მაგრამ უკვდავ იქნება
 ნატოსანია შენი სახელი;
 რადგან გიუფარდა ღარიბი მოძმე
 და იუჯ იმის შემწე-დამცველი.

ლადო ნაცვლიშვილი.



**დაუგწვართ ამხანაგო და მეგობარო
 მელიტონ!**

სრულიად მოულოდნელმა შენმა სიკვდი-
 ლმა თავზარი დასცა ყველა შენ მეგობართ
 და ახლობელთ და არა მარტო მეგობართ—ყვე-
 ლას ვინც კი შორიდან გიცნობდა შენ და ან
 ოდესმე ერთხელ მაინც უნახავხარ, ამის საუკე-
 თესო დამამტკიცებელი საბუთი თვალწინ არის
 —ეს ზღვა ხალხი, მოსული შენ პატივსაცემ-
 ლად და უკანასკნელის ამბორის საყოფად.

მე არ დაგიწყებ ქებას და არც შეუდგები
 დაწვრილებით შენი მოღვაწეობის აღწერას,
 ამიხედ საკმაოთ ილაპარაკეს ჩემზე აღრე,
 ვიტყვი მხოლოდ, რომ შენი სიკვდილით ქარ-
 თველმა საზოგადოებამ დაკარგა საუკეთესო
 წევრი, ღრმა მცოდნე დედა ენისა, დაულალავი
 და გულწრფელი მუშაკი, უანგარო და მოუს-
 ყიდველი ადამიანი ეს, უკანასკნელი თვისება
 კი აწინდელ დროში სანთლით საქებნელია.

მოსწავლე ახალგაზღობას დაეკარგა: ნიკიერი,
 გამოცდილი, განვითარებული, ერთგული,
 სამართლიანი და მოყვარული მასწავლებელი
 და აღმზრდელი. შენმა სამშობლო სოფელმა
 რომლის წინაშე შენ დიდი ამაგი მიგიძ-
 ლვის, მუშაკი, მფარველი და წინამძღოლი,
 ოჯახმა კი, მარჩენალი, ბურჯი და გულ-
 კეთილი მზრუნველი.

აღნიშნულ ძვირფას თვისებათა გარდა,
 შენ ბუნებისაგან დაჯილდოვებული იყავი
 იშვიათის ჯანმთელობით, მაგრამ საუბედუროთ,
 შენ მას არ აფასებდი და არც უბრთხილდე-
 ბოდი. უკანასკნელად რომ გნახე, გაკეთილზე
 მიეჩქარებოდი, შეგამჩნიე რომ სიცხე გქონდა,
 გკიახე რისთვის არ დაწვები მეთქი, შენ ასე
 მიპასუხე: ათასი საქმე მაქვს, სად მაქვს დრო
 დასაწოლადო. დიახ, მართალია, შენ ისე გა-
 რთული იყავი შენს საყვარელს საქმეში, რომ,
 თავიც არ გახსოვდა, შენ არ იცოდი მოსვე-
 ნება რა იყო და კიდევაც ამ უზომო ჯაფამ
 მოგიღო ბოლო.

აქამდის წარმოთქმულს სიტყვებში, რომ-
 ლებშიაც მოიხსენიეს შენი მოღვაწეობა, არ
 აღუნიშნავთ ერთი ფრიად შესანიშნავი გარე-
 მოება, ეს იყო შენი ნამყოფიერი მუშაობა ქუთა-
 ისის საკვირაო სკოლაში. ამ რაოდენიმე
 წლის წინეთ შენ ჩვენთან ერთად მეცადინეო-
 ბდი ამ სკოლაში, სადაც კვირადღეს თავს იყ-
 რიან, ცოდნის, შესაძენათ ბედისაგან დაჩაგ-
 რულნი, სკოლის გარეთ დარჩენილნი —ულა-
 რიბეს მოქალაქეთა შვილები. ამ დიდათ სიმ-
 პატიურს საქმეში შენ დიდი ღვაწლი მიგიძღვის
 და აი დღეს —მოწაფეები ამ სკოლისა მასწავ-
 ლებლებთან ერთად, ნიშნათ მადლობისა, შეა-
 მკობენ შენსგაცივებულს გვაშს ამ ცირე გვი-
 რგვინით, შემდეგის პოეტის სიტყვების ზედ-
 წარწერით:

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს
 „მე ვერაფერი სიყვარულია,
 „საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს
 „ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.“
 აწ მშვიდობით ჩვენო ტკბილო და ძვირფა-

სო მეგობარო მელიტონ. საუკუნოთ იყოს ხსე-
 ნება შენი. სპეტაკი სახე შენი მარად ეამს დაუვი-
 წყარი იქნება ჩვენს ხსოვნაში, სანამ ცოცხალი
 ვიქნებით.

რაჟდენ კანდელაკა.

ახალი შუამდგომლობა საქართველოს ეკლესიისა.

ამ სათაურით დაბეჭდილია გაზე „Рѣчь“ -ში შემდეგი წერილი ბ. ნ. ოგნევისა: „ჩვენ წინ „საქართველოს კრებულის და ხალხის“ ახალი შუამდგომლობა ძვეს.

როგორც ვიცით, 11 აგვისტოს 1906 წ. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილინება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი სრულიად რუსეთის მომავალ კრებისათვის გადაეცა განსახილველად. ასეთივე ბრძანება გამოიწვია, როგორც ცნობილია, აგრეთვე საქართველოს ეპისკოპოსთა, კრებულის და ხალხის აღრჩეულ პირთა პეტროსიამ. ჩვენ თავის დროზე ვწერდით, რომ სინოდმა სრულიად კინაღამ დააქუცმაცა საქსარხოსო ცალკე, სრულებით ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ეპარქიებად, რომლებიც თითოეულად პირდაპირ უნდა დამორჩილებოდა სინოდს. მართალია სინოდმა თავი შეიკავა ასეთ უკიდურეს ზომებისაგან, მაგრამ ამ გეგმის გამოქვეყნებამ საკმაოდ გამოარკვია შემდეგი აზრი რუსის ეკლესიის მმართველობისა, პირველ ხელშემწყობ შემთხვევისათანავე გაეთავებინა საქმე შფოთიან საქსარხოსოსთან. ესლა იქ ჯერ დანიშნა კირონი ეპისკოპოსის გობიტელი ყოფილი ტამბოვის ეპისკოპოსი ინოკენტი.

დღეს ქართველები, სინოდის პლანებით ექსარხოსის დანიშვნით აღშფოთებულნი, ხელახლა შუამდგომლობენ ავტოკეფალიის აღდგენისათვის, რომ საქართველოს ეკლესიის საქმეებში არ ერეოდენ რუს იერარქები.

პეტროსის ჯერ მოკლეთ მოჰყავს საქართველოს ეკლესიის ისტორია და კანონიკური საბუთები მის დამოუკიდებლობისა, და შემდეგ თვალწინ გვიშლის იმ ბოროტ მოქმედებებს, რომელნიც თან სდევდენ სინოდის მართველობას და რუსის ეკლესიის წარმომადგენელთა მასპინძლობას საქართველოში.

1811 წლიდან დაწყებული, დღემდე საქსარხოსოს დაარსებისა და საქართველოს თვითარსებობის მოსპობისა, მის ტერიტორი-

აზე დაიხურა ოცზე მეტი ეპარქია, გაუქმდა 15 მონასტერი, დაიკეტა 800 ეკლესიაზე მეტი.

საეკლესიო მამულები წაერთვა ხაზინისაგან 150 მილიონ მანეთის საღირალი. რა ემართებოდა საეკლესიო საღაროებს?... „გელათის მონასტრის საღაროში 1870 წლამდის დაცული იყვნენ მილიონებათ ღირებული საუნჯენი, მათ შორის — ძველი ქართული სახარება მე 11 სუკუნისა, ოქროს ყდაში შესანიშნავი თავის იშვიათობით მაიოლიკებით. ექსარხოსის ნებართვით ეს ყდა შემოაძვრეს და შესცვალეს იაფ-ფასიან ვეცხლის ყლით. იგივე ბედი ეწია იმერეთის კათალიკოსთა საპატრიარქო შესამოსელს. „მისგან 8 გირვანქა ოქრო გამოადნეს“, ხოლო მარგალიტი და ლალი მანიაკებად გააკეთეს. „სინოდის ტაძრიდან ფუთობით გაიტაცეს მარგალიტი, რომელიც ესხა ეპისკოპოსთა შესამოსლებს, და ღვთისმშობლის სასწაულთ მოქმედ ხატს.“ იმავე ტაძრიდან ამ ცოტა ხნის წინეთ ექსარხოსის ნებართვით „გრ. უ—მა წაიღო ძველი ხელთნაწერი და ამოქრა შიგ იშვიათი სიმშენიერის მინიატურები.“

ასე მასპინძლობდენ სინოდის ექსარხოსები.

არც ერთ ექსარხოსს არ ცოდნია ქართული ენა. სამშობლო ენის გამოდენამ შკოლისა და ეკლესიისაგან, ამბობს პეტროსი, ხელი შეუწყო ხალხის გულის გაგრილებას მწყემსთაღმძი. სასულიერო სკოლების რუსი უფროსები ვერ გამოჩნდენ კეთილი ხელმძღვანელები ახალგაზღობისა, რომლებსაც ხანდახან გაბოროტებამდი მიუყვანიათ მოსწავლეები. „სასულიერო სემენარიიდან შეუბრალებლად ერეკებიან ქართველებს და მათ მაგიერ ღებულობენ რუსის სემინარიებიდან გამოყრილ შაგირდებს.“

ასე „მწყსიდენ“ მწყემსთაგარნი-ექსარხოსნი საქართველოს სამწყსოს.

ქართველი ეპისკოპოსები იღვენებიან. თვალისაჩინო მაგალითი: საქართველოს საეკლესიო ისტორიკოსი და არხეოლოგი ეპ.

კირონი, „შემდეგ ვოსტორგოვთან შეჯახებისა“, გადაყვანილ იქმნა თბილისიდან ბალტის ქორეპისკოპოსად. როცა შემდეგ იგი ხელახლა არღოვის ეპარქიიდან თავის ნებით სოხუმის ეპარქიაში გადავიდა, იგი ხელახლა გადაყვანეს ქ. კოვოში ზემო აღნიშნულ პეტრიაში მონაწილეობის მიღებისათვის. ბოლოს, როცა იგი თხოვნისამებრ დათხოვილ იქმნა „ცილისმწამებელთა შესმენით გაგზავნილ იქმნა სანაქსარის მონასტერში. ეხლა უადგილო და უსაშვლო დღონებული მწუხარებით, გატეხილი ფიზიკურად და ზნეობრივად, მოხუცი იერარქი — ქართველი მოწყალეასავით ღებულობს ნებართვას მოვიდეს ქ. პეტერბურგს საეკიმოთ.

განიცადა დამცირება მეორე ხელის მომწერმაც პირველ პეტრიაზე (1906), ვ. ლეონიდემ.

ავტოკეფალობა კი საქართველოს ეკლესიისა, როგორც სარწმუნოთაა აღიარებული უკანასკნელ შემდგომელობაში, სრულებით არ არღევს განწყობილებას რუსეთის ეკლესიასთან და არ შეიძლება ხელი შეუწყოს ქართველების სეპარატიულ მიმართულებას; ავტოკეფალობა არაა პოლიტიკური ავტონომია. საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელი უთითებენ ავტოკეფალიაზე, როგორც „ერთად ერთ საშვალეაზე იმ კრიზისის გადასაწყვეტად, რომელსაც განიცდის დღეს საქართველოს ეკლესია, და იმ წყლულებათა მოსაშუშებლად, რომლითაც დაწყლულეს იგი სხვა და სხვა „მ. ვოსტორგოვისებურმა“ გამარუსებლებმა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ავტოკეფალია არ არის დროებით საშვალეა საუკეთესო *Mobius vivendi*-ს დასამყარებლად რუსის ეკლესიასთან, როგორც ამბობს ქართველების უკანასკნელი პეტრია. ავტოკეფალია საქართველოს ეკლესიისათვის არის მისი ისტორიული უფლება და ბუნებრივი კალაპოტი საეკლესიო ცხოვრების მრთელ მიმდინარეობისათვის, იმ ცხოვრებისათვის, რომელიც შექმნა ხალხის გენიამ თავისებურ შეერთებით ქრისტიანობის შინაგან არსებასთან.

(Газ. „Речь“ № 40. г.)

ქართლ-კახეთის მონასტრების შესახებ.

ჩვენი მონასტრები: სატირალ მდგომარეობაშია. საფანეები ბევრია, შიდ მცხოვრებნი კი ცოტანი არიან. ბერები, საშოდე კაცს გარდა, თავის მაღალ დანიშნულებას ვერ ამართლებენ: არ აქვთ მორჩილება, უფროსების გაგონება. წესიერების სიყვარული, ლოცვისადმი მიდრეკილება. ზნეობრივი სიფაქიზე. წინამძღვრებიც არ ვარგან; მონასტრებში არ ცხოვრობენ, არ უჩვენებენ მონაზონებს ცოცხალ მაგალითებს ლოცვისას, მოთმინებისას, შრომისას, უნაგარობისას და საერთოდ ბერულ ცხოვრებისას. არცეთ მონასტრებში განწყობილი წირვალოცვა და გალობა არ არის. ბერობის დაქვეითების მიზეზი იგივეა, რაიცა არის საზოგადოდ სარწმუნოებრივ ცხოვრების დაცემისა ქართველ ერში. თანამედროვე ქართველები არ განიჩქვიან კეთილმსახურებითა, გულგრილნი არიან ეკლესიისადმი. და ამიტომ იმათაგან არ გამოდიან პირნი, გამსჭვალულნი სიყვარულითა კეთილმსახურებისადმი, მსურველნი მოღვაწეობისა განშორებით სოფლიდანა. ოდესღაც ქართველნი მხურვალე სარწმუნოებისანი იყვნენ და თვის წრიდან ბევრ საბეროებს უშვებდენ, და მაშინ მონასტრები სავსე იყო მუშაკებითა. შესუსტდა ქართველებში სარწმუნოება და მონასტრებიც დაცალიერდა. ახლა ბერად მიდიან, მომეტებულ ნაწილად, ღარიბები, ზარმაცები, ავადმყოფები და კიდევ იმისთანები, რომლებსაც სურსთ მღვდლობის ხარისხის მიღება, გარნა იმედი არ აქვთ ამის შოვნისა უსწავლელობისაგამო. ყოველივე ცდა მონასტრების მოყვანისა იმ აღყვავებულ მდგომარეობაში, როგორშიაც ისინი ოდესღაც იყვნენ, ამაოა; ტყუილია იმიტომ, რომ ა) საზოგადოდ ახლანდელ ქართველებს გულში არ ღვივის ცხოველი სარწმუნოება, კეთილმსახურება; ბ) ძლიერ ცოტანი არიან მსურველნი მონაზონისა და მაშასადამე მომუშავენიცა; გ) ქართველ ბერებს არ აქვთ უფროსე-

ბის გაგონება, დაჯერება და მაშასადამე დისციპლინის, წესიერების დამყარება შეუძლებელია, და ღ) ჩვენი მონასტრები ნივთიერად ღარიბებია. იმათ სასარგებლოდ არ ვინ სწირავს; მათ იშვიათად ნახულობენ; და თუ ვინმე მივიდა სანახავად, მონასტერს კი არ სძენს, არამედ პირიქით ართმევს. მონასტრები ინახებიან მხოლოდ იმ საშვალე-ბებითა, რომლებსაც მთავრობა მათ აძლევს. შემოსავალი მონასტრებისა, თითოეულისა არ ღვამატება ორ სამ ათას მანათსა, გარდა იოანე ნათლისმცემელისა და დავით გარეჯისა, რომ-ლების შემოსავალი, თვითოულის წელიწადში ადის ხუთათას მანეთამდე. მაგრამ ხუთათასი განა დიდ საშვალეებს შეადგენს? რას ნიშნავს ეს თანხა მონასტრისთვის? შემდეგ, მონასტრებში ბევრია ბევრი ხუთი-შვიდი კაცი მოიძებნება—მღვდელმონაზვნებითა და მორჩილე-ბითა, მოხუცებულებითა და ახალგაზღვრებითა; და როცა ამისთანა შედგენილობაა, განა შეიძლება რისამე გაკეთება ან ღვთისმსახურების და ან საოჯახო ცხოვრების მხრივ? მაგალითად, როგორ უნდა გააწყოს კაცმა გალობა, როცა ხმის გამორჩევა არ შეიძლება, როცა ერთი ხმიანი კაცი თუ აღმოჩნდა მთელ მონასტერში, ისიც კარგი უნდა.

ესლა უნდა აზრუნონ მხოლოდ იმაზე, თუ როგორ შეინახონ მონასტრები მომავალ საუკეთესო დროისთვის, და შიდ ცოტათი მაინც წესიერება შემოიღონ. აღვნიშნოთ ამის მისაღწევი საშვალეებანი.

1) არ უნდა აღკვეცონ ბერად ოცდა ათ წლამდინ და გამოუცდელად. როცა დარწმუნდებიან, რომ ბერობის მსურველს აქვს ღრმა და მტკიცე მიდრეკილება მოღვაწეობისადმი და თანაც აქვს ნიჭი და შეძლება იმის ნათლად აღსრულებისა, მხოლოდ მაშინ უნდა შემოსონ იგი.

2) არ უნდა გაამრავლონ მღვდელმონაზვნები. მონასტრისთვის უკეთესია იყოს ერთი მღვდელმონაზონი და ბევრი მოსამსახურენი, ვიდრე ბევრი მღვდელმონაზონი და ცოტა მოსამსახურეები. მღვდელმონაზვნებს ბატონობა უნდათ, და არა მორჩილობა, გარჯა მუშაობა.

3) დასასჯელად ბერი არ უნდა გადაყვანონ ერი მონასტრიდან მეორეში. თუ რომელიმე მონასტერში ცუდი ბერი გაჩნდა, იგი იქვე უნდა შეინახონ. რისთვის უნდა დასაჯონ მეორე მონასტერი? მთავრობისთვის ყველა მონასტრები ერთნაირად ძვირფასი უნდა იყოს, ურჩი ბერი უნდა დასაჯონ ჯამაგირის შემცირებითა და სრულიად წართმევითა; თუ მასზე ამ ზომამაც არ იმოქმედა, მაშინ იგი უნდა გააძეონ.

4) უნდა მოეღოს ბოლო ორ მეფობას. ხაზინადრებს უყვარს ბრძანებლობა, უფროსობა და წინამძღვრებს არ ემორჩილებიან. ამას ცუდი გავლენა აქვს მონასტრის ცხოვრების მიმდინარეობაზე. მოსტერი აბარია წინამძღვარს, ის არის პასუხისმგებელი, და ამიტომ შიდ ყოველივე იმის განკარგულებისამებრ უნდა კეთდებოდეს. წინამძღვრის მოქმედება კი უნდა შეამოწმონ ყოველწლივ მონასტრების ბლაღოჩინმა და მღვდლებისგან შემდგარ კომისიებმა.

5) წინამძღვრები უსათუოდ შიდ მონასტრებში უნდა იმყოფებოდნენ. ბერებს იგინი უნდა აძლევდნენ მაგალითს ლოცვისა და შრომისას. სჯობია საქმისთვის, რომ წინამძღვრებად უსწავლელები იყვენ და არა დიპლომანები.

6) მონასტრები ბევრია, და ყველა ღარიბია, და შიდ ცოტა ბერებია. ამიტომ მონასტრები ერთიმეორეს უნდა მიეწეროს, რათა საშვალეებათა და მონაზონთა თავმოყრითა ერთ ალაგას შესაძლო გახდეს რისამე გაკეთება. ქვაბთახევი და ზედაზენი უნდა მიეწეროს შიომღვიმესა. შიომღვიმე, ერთ დროს სახელოვანი ლავრა, თვისის ადგილმდებარეობითა და სად ჰაერით ბერობის გაძლიერებას უფრო ხელს უწყობს ვიდრე სხვა მონასტრები; ქვაბთახევი ნესტიან და ჩავარდნილ ალაგასაა, და იქ სული არ მაღლდება, იხშება; ხოლო ზედაზენი ნამეტანი მიყრუებულ ალაგასაა და თანაც ძლიერ ღარიბი; ეს ორი მონასტერი სკიტებად უნდა გადაკეთდეს. იოანე ნათლისმცემლისა და დავით-გარეჯის უდაბნოები, რომლებიც ერთი მეორეზე

ახლო არის, უნდა შეერთდეს; წინამძღვარი რიგრიგობით იცხოვრებს ხან ერთსა და ხან მეორეში. მაშინ ერთი წინამძღვრის ჯამაგირი მონასტერსვე მოხმარდება. ხირსის მონასტერი ამით შეტოქსად უნდა გადიქცეს, და იქაც წინამძღვრის ჯამაგირი მონასტერს შეენახება. შუამთა, ალავერდი და თეთრი გიორგი უნდა შეერთდეს, და თეთრი გიორგის შემოსავალი შუამთასაც უნდა მოხმარდეს. თავი და თავი სამყოფი ადგილი უნდა იქნეს ალავერდში, მხოლოდ ზაფხულობით მონაზვნები იქა რიგრიგობით დაჩებიან, რადგან იქ დიდი სიციხე იცის. თფილისში მონასტერი უნდა გაუქმდეს აქ სამონასტრო ადგილი არაა. ვინც კი ამ მონასტერს კარგად დაჰკვირვებია, ყველა ერთხმად გაიძახის, რომ აქ მონასტერი არ უნდა იყოს. ჩვენ სრულიადაც არ ვამცირობთ იქ მცხოვრებ ბერთა ღირსებას. მე და შენ, მკითხველო, იქ რო ვიყოთ, ჩვენც ისე მოვიქცევით, როგორც ისინი იქცევიან. ადგილობრივ პირობებს ადამიანზე დიდი გავლენა აქვს. რომ ავლაბარში ბერობისთვის ხელისშემწყობი გარემოებები არაა, ეს ყველასთვის ცხადი უნდა იყოს. თუ ამ მონასტრის ალაგას სამღვდლო სასწავლებელს არ დაარსებენ, მაშინ აქაური შტატი ჯვარის მონასტერში უნდა გადაიტანონ; ხოლო დარია ჯვარის შეტოქსი იქნება. ყურადღება უნდა მიექცეს ვარძიის მონასტერს, და ნივთიერად უზრუნველყოფილ იქმნას. როცა ჩვენში ბერობა აღყვავდება, მაშინ მონასტრები ისევ დაიყოფება, განცალკავდება. 7) წინამძღვრებსა და უფროს ძმათა უნდა მიეცეს თავისუფლება საოჯახო საქმეების წარმოებაში. ამათ იციან ადგილობრივი პირობები, და ამათვის უფრო ცხადი უნდა იქნეს, თუ რაა სასარგებლო და რაა საზარალი მონასტრისათვის, ვიდრე თფილისში მცხოვრებ უფროსებისთვის. რომლებსაც წარმოდგენაც კი არა აქვთ მონასტრებზე.

რამპოლლა.

საკვირველი შექმთხვევა იქნა იბა ზოლონაში.

(მოთხრობილი გრ. ლ. ნ. ტვდსტოისკან).

„Утро России“—აში მოყვანილია შემდეგი მოთხრობა გრ. ლ. ნ. ტვდსტოისკა

მას უკან რამოდენიმე წელიწადი გავიდა, რაც ეს ამბავი მოხდა. შობის წინ, დღით კორკოტობას, სალამოს, მოველოდი ძეზობელ მემაჟულეს, ქალბატონ ვლენა ალექსანდროვნას ბ-ს. ჩვენმა ლოდინმა კორკოტობას ფუქად ჩაიარა, რადგან მხოლოდ დღით შობას მობრძანდა, ძალიან დაქანცული და მეტად აღფრეზებული. მისი სიტყვებიდან ჩვენ შევიტყვეთ, რომ ის წინა დღით კინალამ დაღუპულიყო გზაში, გზის დაბნევისგამო ტყეში. მომხდარიყო ეს ასე: დილას მშვენიერი მზიანი ამიდი ყოფილიყო, როდესაც ის მარხილით თავისი მამულიდან გამოგზავრებულიყო. საათნახვერის შემდეგ ამოვარდა თურმე ძლიერი ქარი, ჰაერი გაივსო თოვლით და დატრიალდა საშინელი ბუქი, რომელმაც როგორც მგზავრებს, ისე ცხენებსაც დაუბნელა თვალები და დაუარა გზა-კვალი. ჩქარა უნდა დარწმუნებულიყვნენ მოგზაურები, რომ მათ გზა-დაკარგეს და სადღაც უცნობ ადგილებში ირგვლივ ტრიალებდნენ. მეჯინიბე მშიშარა დამხდალი გამოდგა ქალბატონი ძლიერ ფიცხი და მოუთმენარი. იგი ბრძანებას ბრძანებად იძლეოდა წამდა-უწუმ გზას უჩვენებდა და მეჯინიბეს წინ მიერეკებოდა მოთმინებიდან გამოსულმა მეჯინიბემ, სად იშოვა ამოდენა გაბედულება, გაჯაერდა ამდენ გამოუსადეგარ სწავლა-ჩვენებაზე, გააჩერა ცხენები და გაბედულათ გამოაცხადა:

—ალარ მივდივარ,—და გადმოხტა მარხილიდან.

ქალბატონმა ეს შეურაცხყოფათ მიიღო და მიჰყო ხელი ლანძღვა-გინებას და ყვირილს; მეჯინიბე კი შეურყვეველი შეიქნა და ქალბატონის ლანძღვა-გინებაზე, „არ წაველო“, მხოლოდ ამასდა იმეორებდა. თან თავის სიტყვების გასამართლებლათ ცხენებს ხსნიდა მარხილიდან.

—რათ შვრები, რათ ხსნი ცხენებს?—

სულ ერთია, როგორც უნდა დავიხილოთ მოგზაურობაში თუ გაჩერებული; მაგრამ მე მაინც მგონია, რომ სიკვდილს სჯობია, გაჩერებული შევეყაროთ, პირუტყვებისათვისაც ამას ვამჯობინებ.

—ქალბატონს ვერ გაეგო, საიდან მიეცა ამ მხდალ და მშიშარა კაცს ესოდენი გაბედულება. სანამ ქალბატონი მღელვარებდა და ოცნებობდა, მეჯინებემ გამოხსნა ცხენები, დააყენა პირისპირ მარხილის ხელნა ასწია, მხურვალეთ გადიწერა პირჯვარი და იქვე თოვლზე ჩამოჯდა

მალე ქალბატონის მღელვარება შიშით იქცა.

—ნუთუ მართლა უნდა მოვკვდეთ?!—გაუფელვა მას თავში და მასთან ყანულივით ცივმა ერუანტელმა დაუბრინა მთელ სხეულში.

—გზა მაინც მოძებნე, —მიმართა მან დაბალი, გაუბედავი ხმით თავის მეჯინიბეს, — შეიძლება, ნახო.

—რატომ არა, — უბასუხა მეჯინიბემ. — მხოლოდ მე ვიცი, რომ ეს სულ ის არ არის, რაც რიგია. თუ სიკვდილის დრო მოვიდა, იმას ვერაფრით შევაკავებთ, მაშინ გზის ძებნა უსარგებლოა.

მიუხედავად ამისა, მეჯინიბე ადგა და მალე ბუქში მიიმალა. მარხილთან დარჩა მარტო ქალბატონი... საშინელებამ, კანკალმა გარემოიცვა მთელი მისი არსება... გარშემო თანდათან ბნელდებოდა, ნამუქარები გულმოსაკლავათ ზვინებოვით იზდებოდნენ და ვითომც განგებ მისკენ მიესწრაფებოდნენ, რომ დაეფარათ და შეუბრალებლად მოეგუფათ იგი.

— „თეთრი, ცივი სიკვდილი“ — ფიქრობდა ქალბატონი და შიშისაგამო თვალებს ხუჭავდა, მაგრამ დახუჭული თვალების წინ ცურავდნენ ცეცხლის ფერი ნაპერწკლები და სხვა და სხვა-ნაირი წინწყლები.

„დასასრული, დასასრული“ — ჩურჩულებდა ქალბატონი: ღმერთო ჩემო, რისთვის, ამიანა საღამოს, როგორი დიდი დღესასწაულის წინ, და კიდევ ასე უეცრათ!

სიკვდილის ეამს კაცს თვალ წინ წარმოუდგება მთელი მისი განვლილი ცხოვრება,

დასაწყისიდან უკანასკნელ წამამდე, მის წინ გძელი კინემატოგრაფის ლენტვივით განელის ცხოვრება აღვსებული უთაურობითა, უგნურობითა, წინ დაუხედველობითა.

ქალბატონი ახლა მთლათ წასულიყო თავის წარსულში, მაგრამ მის უბედურების გასამწვავებლათ მაში ის ვერ ამჩნევდა რამე სიმშენიერეს, დიდ მოქმედებას, გამოჩინებულებას და სიდაიდეს. მთელი მისი ცხოვრება იყო მოუთმენელი მისწრაფება რაღაცა სიმადლისაკენ მოლოდინი რაღაცა გამოურკვეველი თვალსაჩინოებისადმი და მეტი არაფერი.

—ნუ თუ ახლაც არაფერი, არაჩვეულებრივი არ მოხდება, ნუ თუ დაბოლოვდა ასე ყოველივე მოლოდინი სულისა და იგი ვერ იხილავს რამე დიადს ქვეყანაზე?

—გზა არსად სჩანს, გაისმა მის ყურთან მეჯინიბის ხმა.

—მაშ... დავიღუბეთ? — მწარეთ წაიბუტბუტა ქალბატონმა, ვითომც ამ კითხვას თავის თავს აძლევდა და თავის თავიდანვე მოელოდა მასვე პასუხს.

—გვიცხოვრია და კმარა, მკმფიოთ წარმოსთქვა მეჯინიბემ.

ამის შემდეგ იგი ხელახლა ჩამოჯდა მარხილის მახლობლათ და გაერთო ფიქრებში.

დაბინდდა. თოვლის ზვინები უფრო და უფრო იზრდებოდნენ და გარს ერტყმებოდნენ მათ. აგერ კიდევაც წამოიხარენ.

— უფალო, ღმერთო ჩემო! — უეცრათ ხმამალლა, თვით გულის სიღრმიდან ამოიძახა ქალბატონმა — მორწმუნე ვარ, — ნემდვილათ მრწამს, რომ შენ არსებობ და შემბრალებ თვალით მხედავ. — მრწამს, მრწამს!... ხმა მალლა გაიძახოდა ქალბატონი და მეთეს ვერაფერს ამბობდა, ისე იყო აშფოთებული.

—ქალბატონო უყურეთ, აი სანთლის შუქი მოსჩანს! — დაიყვირა ღ თან ფეხზე წამოხტა მეჯინიბე.

მართლაც თოვლის ნისლში ბრწყინვალეთ ანათებდა სანთელი და ცეცხლისფერ სინათლეს ჰფენდა არემარეს.

—წანიდეთ!...

რამოდენიმე წამში — ცხენები შემბუ-

ლი იყვნენ, მარხილი დაინძრა, განთავისუფლდა გარშემორტყმული თოვლისაგან და მგზავრებმა მიაშურეს სანთლის შუქს. ანათებდა ჭდიდხანს იარეს სანთელი ბრწყინვალეთ თავის სხივებით თითქოს იზიდავდა მოგზაურებს. ბოლოს ელვისავით ინათა და მოგზაურების თვალ წინ წარმოდგა ანთებული ფარანი.

გაჩერდნენ. გლეხ-კაცის პაწაწა ქოხის წინ იდგა ახალგაზდა ყმაწვილი. მას დიდ ჭოგრზე ფარანი დაეკიდა და მაღლა აეართა, რომ შორს გაენათებია.

— მაღლობა ღმერთს, რომ მობძანდით, დიდხანია, გელოდებით, მოისმა ქაბუკის ხმა, როცა ცხენები ეზოში შედიოდნენ.

— განა შენ იცოდი? — გაკვირვებით ჰკითხა ქალბატონმა.

— როგორ არა, თქვენგან ვილაც მოხუცებული კაცი მოვიდა და გვიბრძანა ფარნის ანთება და გამოკიდება, უბასუხა ქაბუკმა.

— მოხუცი!... გაოცდა ქალბატონი, თუმცა გაოცება მისი არ იყო ხანგრძლივი, ისე იყო ის დაღლილი და დატანჯული, რაც არ აძლევდა მას შეძლების არც ბევრი განცვიფრების და არც ბევრი გამოკითხვისას....

მხოლოდ დილას, გაღვიძების შემდეგ, როცა ცოტა დაისვენა და დაწუნარდა, მას შეეძლო მოეგონებია დაწვრილებით გუშინდელი საშიშარი თავგადასავალი.

— „მოხუცი, რომელი მოხუცი უნდა ყოფილიყო? ეკითხებოდა იგი თავის თავს. — როგორ შეეძლო ამ სიშორეზე და მასთან თოვლის ნისლში გაენათებია და გზა ეჩვენებია ფარანს?“

— დაეკითხა ქაბუკს. ვინ მოხუცებული მოვიდა, როდესაც მე არაფერს გამომიგზავნია?

— არ ვიცი, ქალბატონო, უბასუხა ქაბუკმა. — მე მხოლოდ ვიცი, რომ ის იყო გამხდარი, აღერსიანი სახის, თეთრი და გრძელი წვერი ქამარს სცემდა. გვითხრა: „ქალბატონი მობრძანდება თავისი მეჯინებით, გზა დაებნათ, ანთეთ ფარანი“ — ო.

— მოხუცი? ... ღრმით ჩაფიქრდა ქალბატონი.

— როდესაც არა ჩვეულებრივი კაცი იყო,

გააგრძელა ქაბუკმა, — ბევრი ვეხეწეთ, მაგრამ არ მოიცადა, არ გაითბო, ღამე არ გაათია. მოვიდა, ფანჯარაზე დააკაკუნა, სთქვა რისთვისაც იყო მოსული და მაშინვე გაბრუნდა.

ბოლოს ჩვენც მოვესწარიტ ხსენებული ქალბატონის მოსვლას და მისი პარიდგან მოვისმინეთ, თუ რა შეხვდა მას იმ ღამეს.

ჩვენ შეგვებრალა ამდენი თავგადასავალი დატანჯული ელ. აღ. და ხან „ახ“-ს და „ობ“-ს ვიძახოდით. მოხუცი კი თითქმის სრულებით დაგვივიწყდა, თუმცა ხანდისხან სხვათა შორის ისიც მოგვაგონდებოდა ხოლმე.

მთელი ღამე ქალბატონმა ვერ მოისვენა მისი ფიქრები უთავბოლოთ ირეოდნენ, მან არ იცოდა რით აეხსნა ეს შემთხვევა, რომელი მოხუცებული უნდა ყოფილიყო და როგორ ანათებდა ამ სიშორეზე, თოვლის ნისლში, ფარანი. ფიქრში წასულმა უეცრათ ყურეში წმინდა მამა ნიკოლოზის ხატი შეამჩნია. მან თვალი ველარ მოაშორა ხატს, წმ. მამა ნიკოლოზის სახეთ ითქოს რაღაც წყნარი და მშვენიერი ნათელით შეიმოსა. მამა ნიკოლოზის ბაგენი ამოძრავდნ და ქალბატონმა ცხადათ გაიგონა მისი გარკვეული და ნამდვილი ხმა:

— მე ვიყავი ის მოხუცებული, ჩემი ბრძანება იყო, რომ ფარანი აენთოთ და გზის საჩვენებლათ გამოეკიდათ.

შეჩერდა ტოლსტოი, ჩამოვარდა სიჩუმე, რომელსაც ხანდისხან არღვევდა განცვიფრებული მაყურებელთა ძნელი ფშვენა.

— აი საკვირველებაც, — დაუმატა მან. აბის შემდეგ მან მიჰმართა სოფიო ანდრევენას და სთხოვა:

— მოხუცი ჩაი და ბულკი კარაქით, წავალ კაბინეტში, წავიმუშავებ.



რედაქტორი, მღვდელი სიმონ მავალიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა